



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE  
 BODY**



**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა**

№ 74

13 09 2017 წელი

**მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის თეიმურაზ ბერიძის  
 2017 წლის 25 აპრილის N1863-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ**

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 13 სექტემბრის სხდომის N16 ოქმის მე-5 საკითხის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 16 აგვისტოს N03/9940 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის 2017 წლის 25 აპრილის N1863-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით

1. დამტკიცდეს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „რუსთაველის 41“-ს ქალაქ მარნეულში, რუსთაველის ქუჩა N41-ში მდებარე კორპუსზე მისაკუთვნებელი მიწის ნაკვეთის ფართი და საზღვრები შ.პ.ს. „იმერეთი“-ს მიერ შესრულებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზზე მითითებული ფართისა და კოორდინატების შესაბამისად (მიწის ნაკვეთის ფართი - 2299 კვ.მ. განაშენიანების ფართი შენობა - 01/5-866 კვ.მ, 02/1-21 კვ.მ, 03/1-18 კვ.მ, 04/1-24 კვ.მ. 05/1-24 კვ.მ. 06/1-17 კვ.მ. 07/1-12 კვ.მ.).

2. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „რუსთაველის 41“-ის თავმჯდომარემ კენან ხასამედოვა (პ/ნ. 28001017775), მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოს კორპუსზე მიკუთვნებული მიწის ნაკვეთის ფართისა და საზღვრების (წითელი ხაზების) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში რეგისტრაცია.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს თეიმურაზ ბერიძეს.

მარნეულის მუნიციპალიტეტის  
 საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაბი აბდულაევი